

ლერი მირიანაშვილი

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა
საქართველოს სოფელში 1905-1907 წლების
რევოლუციის პერიოდში**

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ქართველი ხალხის მიერ განვლილი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთერთი მთავარი ძარღვია. სხვადასხვა ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ ხალხის დაუმორჩილებლობის საპროტესტო გამოსვლები ყოველთვის ეროვნულ ხასიათს ატარებდა. შოვინისტური რუსეთის იმპერიის თითქმის ორ საუკუნოვანმა ბატონობამ საქართველოში, მოსახლეობის აღქმაგური რეაქცია გამოიწვია. ხალხი ბევრჯერ აჯანყდა ერთმორწმუნეობის ნიღბით მოსული აგრესორის წინააღმდეგ. აჯანყებათა საბაზი შეიძლება ზოგჯერ სოციალური, აგრარული, ეკონომიკური ან სხვა ხასიათის ყოფილიყო, მაგრამ შემდეგ, ყოველთვის, მაინც ეროვნულ შინაარსს იძენდა.

კაპიტალისტური ხანის საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევისა და სამეცნიერო შრომების გამოცემის საქმეს კომუნისტების დროის ოფიციალური მოსკოვი პრაქტიკულად ხელს უშლიდა. მათ, რა თქმა უნდა, თვით სოფლის მეურნეობის ან სხვა დარგების ისტორიის კვლევა კი არ აფრთხობდათ მაინცდამაინც, არამედ ცარიზმის კოლონიური პოლიტიკისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმოჩენა, რამდენადაც ეს „მოკავშირე“ რესპუბლიკებში ეროვნული გრძნობების გაღვივებასა და დამოუკიდებლობისადმი სწრაფვას იწვევდა.

ეს ფაქტორები განაპირობებდა, რომ XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ამ პრობლემებზე უმრავლეს შემთხვევაში მარქსისტი ისტორიკოსები მუშაობდნენ. ისინი ხშირად ფაქტიურად ამართლებდნენ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას (მაინცდათ რა ის „მცირე ბოროტებად“) და კოლონიზაციას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშუქებისას აქცენტი გადატანილი იყო მოუგვარებელ სოციალურ პრობლემებზე, შედარებით მკრთალად ჩანდა ან არაფერი იყო ნათქვამი ეროვნულ ჩაგვრაზე, ეროვნებათა შორის არსებულ ურთიერთობებზე. გასაგებია, რომ ეს უფაქიზესი და ურთულესი საკითხია, მაგრამ სულ განუძვამამ, სირაქლემის პოზიციაში ყოფნამ, მგლის შიშით ცხვრის გაწყვეტის შიშმა და მღვარგადასულმა ტოლერანტობამ როგორი საგაღალო შედეგები

გამოიღო, ახლა ყველასათვის ცხადია. ტაბულადებული იყო ჩვენი ისტორიული ტერიტორიების, ეკლესია-მონასტრებისა თუ ციხესიმაგრეების კუთვნილების საკითხის დასმაც კი, ყოველთვის ჩვენ გვანუშებდნენ, რომ “მოძმე ხალხებს“ არ სწყენოდათ. “ძმობა“ კი მულმ ცალმხრივი იყო. ამ ფაქტორებმა ხელი შეუწყო უსაფუძვლო სეპარატიზმის წარმოშობას, რაც განსაკუთრებით ნათელი გახდა გასული საუკუნის 90-იან წლებში წარმოშობილი აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების დროს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად საუკუნეების განმავლობაში საქართველოში მრავლად მცხოვრები უცხოტომელებისა, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მათი მონაწილეობა ან ნულის გოლი იყო ან ფორმალური შინაარსის, ანდა მეხუთე კოლონის ფუნქციას ასრულებდა.

XX საუკუნის დასაწყისის პერიოდის რევოლუციური მოძრაობა ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შესწავლილი. (ფ. მახარაძე, ნარკვევები ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1927. (რუს. ენაზე); 1905-07 წწ რევოლუცია საქართველოში, კრებული, თბ., 1955; ი. ხუციშვილი, მ. გაფრინდაშვილი, 1905-1907 წწ რევოლუცია საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VI, თბ., 1972; ა. სურგულაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში 1905-1907 წლებში, თსუ შრომები, თბ., 1955, № 57; გ. ხაჭაპურიძე, 1905-1907 წწ რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955; მისივე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში, თბ., 1937 და სხვა.). ჩვენ, მხოლოდ, ვეყრდნობით რა მოხმობილ საარქივო მასალებს, რომელთა ნაწილი პირველად შემოგვაქვს ბრუნვაში, ვცდილობთ წარმოვანიხოთ ის ფაქტორები, რომლებიც ხელს უწყობდა სოფლის მცხოვრებთა მონაწილეობას ეროვნულ მოძრაობაში და მის თავისებურებებზე გამოვთქვამთ საკუთარი მოსაზრება.

რუსეთის 1905-1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გაღლა სწრაფად გავრცელდა საქართველოში და მასობრივი მოძრაობის გააქტიურება გამოიწვია. თუ მანამდე სოფლად გავრცელებული იყო წინააღმდეგობის პასიური ფორმები: გადასახადების გადაუხდელობა, ურჩობა მთელ რიგ ვალდებულებათა შესრულების დროს, არყის საილუმლო გამოხდა, სხვადასხვა სახის ბოიკოტები მემამულეთა მიმართ, სოფლის ყრილობებზე მიწით დაკმაყოფილების მოთხოვნათა წამოყენება და სხვა, ახლა მოძრაობამ აშკარად რევოლუციური ხასიათი მიიღო.

რევოლუციური გამოსვლები ერთ-ერთმა პირველთაგანმა აღმოსავლეთ საქართველოს თიანეთის მცხოვრებლებმა დაიწყეს.

1905 წლის 30 მარტს ჩატარდა სოფ. დიდი გომარეთის, პაგარა გომარეთის, მამულაანთ სოფლის, კაკლიანისა და ახის სოფლის მცხოვრებლების ყრილობა, რომელზეც შეადგინეს მოთხოვნების ნუსხა, მოგვყავს ის მოგიერთი შემოკლებით:

1. „მოვითხოვთ, რომ ჩვენ საკუთრებად დამტკიცდეს ფასგადაუხდელად ჩვენ ხელქვეშ მყოფი სახაზინო მიწები... უამშიწვოდ ჩვენი არსებობა ყოვლად შეუძლებელია“...;
2. ითხოვდნენ სახაზინო ტყისა და წყლის უფასოდ მოხმარებას;
3. პირდაპირი გადასახადის მოსპობას და გადასახადის გაწერას მასზე, ვისი წლიური შემოსავალი 500 მანეთს აღემატებოდა;
4. სახელმწიფო ბეგარისგან გათავისუფლებას;
5. არაპირდაპირი გადასახადების მოსპობას (ნავთზე, წუმწუმამზე, ჩაიზე, შაქარზე და სხვ.) ;
6. „მოისპოს ახლანდელი პოლიციის სასამართლო და საზოგადოდ მთავრობის მოხელეთა წეს-წყობილება, რადგანაც ერთი გვამათრახებს და მეორე გვაგყავებს... ამიგომ გადავაყენეთ სოფლის მოხელე და ჩვენს მიერ ამორჩეული კაცებისათვის მიგვინდვია... მიწერ-მოწერა მთავრობასთან და საქმის წარმოება... სამშობლო ენაზედ“.
7. „ნება მოგვეცეს საქართველოს მცხოვრებ მკვიდრთ დასახლებისა თავისუფალ სახელმწიფო მამულზედ და აკრძალულ იქნას კანონით ჩვენი მიწების სიმციერის გამო, გადმოსახლება სხვა ტომის ხალხისა, საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრებთა“;
8. “მოისპოს მღვდლის დრამა, ე.ი. ერთი კოდი პური და ნახევარი კოდი ქერი კომლზედ; დრამის მაგივრად მღვდელს მიეცეს ჯამაგირი ხაზინიდან, დაწესდეს ჯვრის საწერი 4 მან. და მიცვალებულის წინ გასაძღოლი 1 მან. და გასანათლავი 20 კაპ.“;
9. დაარსდეს საქართველოს მკვიდრთაგან ხალხის წარმომადგენელთა მუდმივი საკანონმდებლო დამფუძნებელი კრება საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით ორივე სქესისთვის, რისთვისაც მოვითხოვთ საქართველოს სრულ ავტონომიას“;
10. „დაწესდეს სავალდებულო პირველდაწყებითი სწავლა უფასოდ ორივე სქესისათვის 16 წლამდე დედა ენაზედ. რუსული ენა ისწავლებოდეს როგორც კერძო საგანი“ ;
11. „მოისპოს მუდმივი ჯარი და დაწესდეს სახალხო მილიცია“;
12. „წოდებათა და პრივილეგიათა გაუქმება“;

13. „პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობა და პასუხისმგებლობა მხოლოდ სასამართლოს წინაშე“;
14. „თავისუფლება კრებისა, გაფიცებისა, სიგყვისა, ბეჭდვისა და კავშირებისა“;
15. „დაუბრუნდეს ხალხს გადახდილი „ქუდის ფული“ (სამაღამო); თავიანთი საჭიროების დროს მოსახმარებლად“ (9, 62-64).

როგორც ვხედავთ, აქ ძირითადად სამგვარი მოთხოვნები ერთმანეთში გადახლართული: აგრარული, ეროვნული და კლასობრივი. ეროვნული მოძრაობა დამახასიათებელი იყო ყველა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციისათვის და მის ერთ-ერთ დომინანტურ ძალას წარმოადგენდა.

გამოსვლები შეუქცევად მკაცრ ხასიათს იღებდა. თიანეთის მაზრის უფროსი კაპიტანი ლეონტევი 1905 წლის 4 აპრილს № 110-ე პაგაკში „სრულიად საიდუმლოდ“ მოახსენებდა გუბერნატორს: სოფ. გოლათსოფელში აჯანყებულებმა შექმნეს კომიტეტები, დადეს ფიცი „დედა შემერთოს ცოლად, თუ საქმეს ვუღალაგებთ“. მდიდარ გლეხს გუგუტაშვილს კომიტეტის სასარგებლოდ შეაწერეს 3000 მანეთი, შეგაკებაში მოკლეს ჩხუბია ქორიაული, რომელიც ორმაგ თამაშს ეწეოდა (10, 87).

რევოლუციურ გამოსვლებს მოუგვარებელი აგრარული საკითხები და აუტანელი სოციალური პირობები იწვევდა. თიანეთში ხაზინამ შეისყიდა სამხედროებისათვის ის მიწები, რომლებსაც გლეხები იჯარით იღებდნენ. მაზრის უფროსის პაგაკში ნათქვამია: „გლეხებმა დაკარგეს შესაძლებლობა მისდიონ მიწათმოქმედებას, რადგანაც მათ ღარჩათ მიწის პაწაწინა ნაგლეჯები ... მიწის ამ გადაცემის შემდეგ გლეხები შიმშილობენ და უბედურ დღეში არიან... გლეხების ოჯახების დიდ უმრავლესობაში, მთელი მამთრის პერიოდში, მათი ოჯახის წევრები პურს სჭამენ მხოლოდ დღეგამოშვებით, ან ორდღეგამოშვებით“... (11,304).

სოციალური პირობების გამწვავებას და მოსახლეობის უკმაყოფილებას ზოგჯერ სასულიერო პირების სისარბუც იწვევდა. თიანეთის მაზრის უფროსის 1905 წლის ანგარიშიდან ჩანს, რომ ერთ მღვდელს ქმრისა და ვაჟის დამარხვისას ქვრივისგან აულია 2 კოდი ხორბალი, 2 ცხვარი, 8 თუნგი არაყი. მისგან დამატებით კიდევ ითხოვდა 3 მანეთს. იმავე მღვდელმა მეორე ქვრივს დამარხვის წესის აგების გამო გამოართვა 20 მანეთი, 3 ცხვარი, 3 კოდი ხორბალი, ანდერძის შედგენაში 15 მანეთი. დამატებით ითხოვდა კიდევ 6,4 მანეთს (14,32).

ჩვენ, გასაგები მიზეზების გამო, რევოლუციის მიმდინარეობის პროცესს კი არ განვიხილავთ, არამედ შევხებით მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ეხება.

სოციალ-დემოკრატების გავლენა სოფლის ყრილობებზე წამოყენებულ მოთხოვნებს აშკარად ეტყობა, მაგრამ აგრარული საკითხი მათთან დაქვემდებარებულ საკითხად რჩებოდა, ეროვნული საკითხი მათ პროგრამაში თითქმის არავითარ როლს არ თამაშობდა. ბოლშევიკები ეროვნული ავტონომიის წინააღმდეგ კი იყვნენ, ხოლო მენშევიკები „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიისკენ“ იხრებოდნენ. თიანეთის მოსახლეობის „საქართველოს სრული ავტონომიის“ მოთხოვნაში საფიქრებელია ვაჟა-ფშაველას გავლენა. ცნობილია, რომ ვაჟა-ფშაველა ილია ჭავჭავაძის გუნდის წევრი იყო, მათ პროგრამაში კი მთავარი ადგილი ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენას ეკავა.

თიანეთის მაზრის უფროსი უპაგაკებდა გუბერნატორს: „მოვასხენებ თქვენს აღმაგებულებას, რომ აგენტური გზით მე შევძელი დამედგინა ზოგიერთი პირის კვალი ყველა საზოგადოებაში, სადაც კი ხდება მღელვარება. ასე, მაგალითად, უწესრიგობის დაწყებამდე ერწოს ველზე და მალაროსკარის საზოგადოებაში აგიგაციას ეწეოდნენ ღუმეთის მაზრის სოფელ ბოდავის მღვდლის შვილი ანტონ ჩხეიძე და იმავე მაზრის სოფელ ჭოპორგის მცხოვრები ჩოკონაშილი. მაზრაში (თიანეთის) მცხოვრებთაგან ცნობილია წერილფუხა ქართველი ბელეგრისტი, ქართული გაზეთების თანამშრომელი ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც წერს „ფშაველას“ ფსევდონიმით და წლის უმეტეს დროს თიანეთის მაზრის მალაროსკარის საზოგადოების სოფელ ჩარგალში ცხოვრობს (ფშაველი).

ამ პირების შესახებ მე შევაცხოვრებინე ქანდარმერთა სამმართველოს უფროსს, რომელსაც ვთხოვე, მოევლინებინა ოფიცერი ერთობლივი ჩხრეკისა და დაპატიმრებისათვის, რამდენადაც რაზიკაშვილი (ფშაველა) ქართველ მოღვაწეთა შორის შედარებით მსხვილი პიროვნებაა“ (5,19). მაზრის უფროსს ვაჟა-ფშაველას დაპატიმრება მოუთხოვია, თუმცა ამ უკანასკნელს თავი შეუკავებია რადიკალური ზომისგან (5,127).

ვაჟა-ფშაველა კიდევ ერთხელ ჩანს თიანეთის მაზრის უფროსის 1905 წლის 28 ნოემბრის მოხსენებაში: „ყველა მოთხოვნების შედგენა და ჩემთვის გადმოცემა კრების მონაწილეებმა დაავალეს ლუკა რაზიკაშვილს, რომელიც კრებას ესწრებოდა. ჯერჯერობით ეს მოთხოვნები არ გადმოუციათ“ (5, 128).

ეროვნული მოძრაობისათვის დამახასიათებელი პრობლემების მოგვარების აუცილებლობა აჯანყებულთა მრავალ მოთხოვნაშია ხაზგასმული. თუშეთ-კახეთის უბნის პრისტავი მოახსენებს მამრის უფროსს, რომ გლეხთა მოთხოვნები სოფელ მაგანში დღითი დღე იზრდება: გლეხთა უზრუნველყოფა მიწებით მემამულეთა თანაბრად, ყოველ საქმეში მემამულეთა ჩაყენება გლეხებთან თანაბარ მდგომარეობაში, ფულადის მაგიერ ნაგურალური გადასახადების შემოღება, თანამდებობებზე მხოლოდ ქართველების დაყენება, საქართველოში საქმის წარმოება მხოლოდ ქართულ ენაზე, სასკოლო განათლება მხოლოდ მშობლიურ ენაზე და მთავრობის ხარჯზე. მაგნელების ეს მოთხოვნები გადაუციათ ახმეტელებისა და პანკისელებისათვის (11,17,23).

როგორც მოთხოვნებიდან ჩანს, მოძრაობის დაწყების მიზეზები თითქმის ყველგან აგრარული საკითხებია, მერე მას ემატება ადმინისტრაციისა და მოხელეთა თვითნებობა, უკვე ამის შემდეგ ის გადაიზრდება ხოლმე ეროვნულ მოთხოვნებში.

საყურადღებოა ერთ საბუთში მოგანილი ცნობები გადასახადებელი ხალხის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. ახმეტეიდან აშკარად ხელმოკლე გლეხების გვერდით დასახელებულია ორი შეძლებული გლეხი: სოფ. ორხევის მცხოვრები ნ. ქუმსიაშვილი, რომელსაც ჰქონდა საკუთარი კარგი სახლი, საცხენე, სათიფე, წისქვილი, 30 დესეგინა სახნავი, ჰყავდა 52 სული მსხვილფეხა საქონელი და 1000 სული ცხვარი; სოფ. ვაგნარეთის მცხოვრებ ალ. ობგაიძეს ჰქონდა სახლი, 2 სათიფე, ამბარი, 4 დესეგინა სახაზინო მიწა, ჰყავდა 60 სული მსხვილფეხა საქონელი და 2 ათასი სული ცხვარი. ასეთი მაგერიალურად უზრუნველყოფილი, შეძლებული გლეხების რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობა განპირობებული იყო სწორედ მტკივნეული ეროვნული საკითხების მოუგვარებლობით.

ეროვნული მოძრაობის გაძლიერების მასტიმულირებელი ფაქტორი იყო ის გარემოებაც, რომ ქვეყანაში სავაჭრო, სასურსათო კაპიტალის და დიდი მიწის მფლობელები უმრავლეს შემთხვევაში უცხოტომელები იყვნენ. წყაროს ცნობით ახალციხის მაზრაში მსხვილი მიწის მფლობელები სულ რამდენიმე იყო: ორბელიანი, ბაიბურდსკი, კობლენსკაია, ათაბეკოვა, კაჩხოვეი, ერისთავი, მუხრანსკი და მეგისოვი (12, 85). პირველი გილდიის ვაჭარი ა.ა. ენფიაჯიანცი ლაგოდეხში ფლობდა 26 დესეგინა ხეხილის ბაღს, 5 დესეგინა ვენახს, რომელიც გაშენებული იყო სახაზინო სარწყავ მიწებზე (7, 366). მასვე განცხადება ჰქონდა შეგანილი სახაზინო ქონების სამმართველოში, რომ სიღნაღის მაზრის სოფ. მანნარში მისთვის საჯარო ვაჭრობის გარეშე გამოეყოთ იჯარით მიწა

(რომელიც მანამდე იჯარით ჰქონდა აღებული კ. ბაგრატიანცს) საცდელი პლანტაციის მოსაწყობად. სამთავრობო სენაგის № 1135 განკარგულებით მას გამოუყვეს 4 დესეგინა მიწა 12 წლის ვადით თითქმის მუქთად, წელიწადში 13 მანეთად და 10 კაპიკად (13,15,3,54).

მიმე გვირთად აწვა გლეხობას მეორადი იჯარა, როცა ბობოლა ვაჭრები საიჯარო ფასს აორკეცებდნენ. სიღნაღელმა ვაჭარმა არგ. ოთაროვმა სახაზინო ფონდიდან იჯარით აიღო 4193 დესეგინა მიწა, რომელიც მეორადი იჯარით გასცა ნუკრიანის, მალაროსა და სხვა სოფლების გლეხებზე გაცილებით მაღალ ფასებში (3,42).

უცხოგომელებით დასახლებულ რეგიონებში ეროვნულ მოძრაობაში მხოლოდ ეთნიკური ქართველები იღებდნენ მონაწილეობას. არქივში შემონახული მამრის უფროსის პაგაკიდან ვიგებთ, რომ ახალციხეში რევოლუციურ მოძრაობაში ყველაზე მეტად აქტიურობდა ქართველი მოსახლეობა, რაც იმით აისხნებოდა, რომ ისინი ეროვნული იგერესებიდან გამოდიოდნენ, ამიგომ ახალციხის მამრაში რევოლუციური მოძრაობა შედარებით სუსტად განვითარდა და მოძრაობაც სუფთა ქართული, ნაციონალური იყო, მასში ყველა ფენა იღებდა მონაწილეობას, რადგან მონაწილეობის მიუღებლობა ანტიპაგრიოგიმზად ითვლებოდა. რევოლუციის აქტიურ ფაზაში, როცა სადამსჯელო ღონისძიებები გაძლიერდა, უცხოგომელები განზე გადადნენ. მამრის უფროსი შესაბამისად აფასებს მათს ამ მოქმედებას: – სომხები საამისოდ ჭკვიანები, ანგარიშიანები და ეგოსიტები არიან, ასკენის იგი.

აგრარული მოძრაობა ძირითადად ქართულ სოფლებში: საკირეში, თადრისში, ქვაბისხევეში, ღვირში, ერკოთაში, ქუცნაში მიმდინარეობდა. ქართველმა ახალწვეულებმა წამოაყენეს მოთხოვნა: ორწლიანი სამხედრო სამსახური, სამშობლოში სამსახური, ხელმძღვანელებისგან შრდილობიანი მოქცევა, ხელფასის მომაგება და სხვ.

ქართველებმა სომხებთან და მუსულმანებთან გაერთიანება სცადეს, თუმცა უშედეგოდ. ბორჯომში აჯანყებულებმა შექმნეს კომიტეტი, საიდანაც აგიტატორები გაგზავნეს სხვა სოფლებშიც. 27 ნოემბრისათვის (1905წ) დაიწყო მასობრივი გაფიცვა, მართავდნენ მიტინგებს, იკრიბებოდნენ მხოლოდ ქართველები, რომლებიც მოუწოდებდნენ არსებული წყობილების დამხობისაკენ, შექმნეს 60 კაციანი რაზმი. 28 დეკემბერს დაეცნენ ყორღანოვის სახლს და გაანადგურეს. 6 დეკემბერს დანიშნულ მიტინგზე უნდოდით მეფის დახეული პორტრეტის წაღება, მაგრამ ჩვენს მიერ არ იქნა დაშვებული – ამთავრებს მოხსენებას მამრის უფროსი (14,13,17,18,19).

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მძლავრ ბიძგს აძლევდა რუსეთის იმპერიისათვის დამახასიათებელი სასტიკი კოლონიური პოლიტიკა. რუსეთმა საქართველოში სხვადასხვა დროს მრავლად ჩამოასახლა უცხოტომელები და ამით მძლავრი დასაყრდენი და მეხუთე კოლონა შექმნა. ჩამოსახლებულებმა მთავრობის მხრიდან არაჩვეულებრივი ხელშეწყობა იგრძნეს, აბორიგენებად მიიჩნიეს თავი, სამოსახლო ტერიტორიები თავიანთ 'ისტორიულ სამშობლოდ' გამოაცხადეს, ხელში ჩაიგდეს დიდძალი კაპიტალი და სეპარატიზმისაკენ არაჩვეულებრივი სწრაფვა გამოამჟღავნეს.

კოლონისტებს აძლევდნენ საუკეთესო მიწებს, მნიშვნელოვანი რაოდენობით ფულად დახმარებას უყოფდნენ, პირველ წლებში გადასახადისგანაც ათავისუფლებდნენ, ადგილობრივ მოსახლეობას ართმევდნენ მიწებს და კოლონისტებს ურიგებდნენ. 1905 წლის 24 სექტემბერს სიღნაღის მაზრის სოფ. ქვემო მახხაანის მცხოვრებლებმა იჯარით აიღეს ახალქალაქის მაზრაში ნაკვეთი 'კამბეჩის მიწდორი', 500 დესეგინა, წელიწადში 532 მანეთად. შემდეგ იქ კოლონისტები ჩამოასახლეს. მთავრობამ მახხაანელებს ეს მიწები ჩამოართვა და კოლონისტებს გადასცა (15,2,36). ქართული სოფლების მიერ იჯარით აღებული მიწების კოლონისტებისათვის გადაცემის ფაქტები მრავლად იყო (4,47). რუსული სოფლები უხვად იყო უზრუნველყოფილი საუკეთესო მიწებით.

ადმინისტრაცია 'მის განკარგულებაში მყოფ მიწებს იყენებდა არა ადგილობრივი მოსახლეობის (თუნდაც მარგო სახამინო გლეხების) მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, არამედ რუსი და სხვა კოლონისტების დასასახლებლად. მთავრობის წრეებში მტკიცედ იყო გაბატონებული ის აზრი, რომ თავისუფალი მიწების გამოყენება მხოლოდ და მარგო ამ მიზნითაა დასაშვები' (2,107-108).

რუსეთის გეგმა ითვალისწინებდა მდინარე ყუბანის შესართავიდან ენგურის შესართავამდე ყაზახ-რუსების დასახლებას. ათი ათასობით აფხაზი იძულებული გახდა თურქეთში გახიზნულიყო. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი მირსკი წერდა: 'თუ აფხაზების ნაწილი მოისურვებს ოსმალეთში გადასახლებას, ჩვენ ამას ხელი არ უნდა შევეშალოთ, ჩვენ უნდა... შევეუდგეთ აფხაზეთის კოლონიზაციას ყაზახ-რუსების საშუალებით'. მათ უარი უთხრეს ასი ქართველი გლეხის ოჯახს აფხაზეთში დასახლებაზე, ინგენსიურად ასახლებდნენ რუსებს, შედარებით ნაკლებს ბერძნებს, სომხებს, ესტონელებს, გერმანელებს, მოლდაველებს (5,252).

კოლონისტების ერთ მამრობით სულზე კუთვნილი მიწის ფართობი მერყეობდა 10,30-დან 21,5 დესეგინამდე (ახალციხის მაზრაში), სიღნაღის მაზრის სოფ. ასანურსა და მამნაარში 1, 25-დან

1,6 დესეგინამდე, მუგდილის მაზრაში, ყულისკარში შეადგენდა 0,29 დესეგინას, კახეთში 0,23 დესეგინას და სხვ. (16,3).

არამუსტი მონაცემებით XX საუკუნის დამდეგს რუსეთის იმპერიაში აღირიცხებოდა 2 მილიონამდე ქართველი, მათი 98% სამშობლოში ცხოვრობდა, მიუხედავად ამისა, მოსახლეობის ერთი მესამედი არაქართველი წარმოშობისა იყო (5,139,141).

მეფისნაცვალი ი. ვორონცოვ-დაშკოვი იძულებული იყო ეღიარებინა კოლონიზაციის შედეგად შექმნილი მიმე მდგომარეობა: "სინამდვილეში ჩვენ ძალიან გავისარჯეთ ქართული პროვინციების მტკიცე კოლონიზაციისათვის გერმანელი კოლონისტებით, ანატოლიელი ბერძნებით, თურქეთის სომხებით და რუსი სექტანტებით ... ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობისათვის კი მიწის საკითხში არა თუ არაფერი გავვიკეთებია, არამედ ისე ღავაშინეთ სხვადასხვა ჩამონაჭრებით მათი მიწათმფლობელობიდან, რომ მიწათმოწყობის დაწყებისას ზოგიერთი სოფლები ახალი ჩამონაჭრების შიშით უარს ამბობენ მასზე" (18, 4-5). ქართველი გლეხებისთვის არავითარი "მიწათმოწყობა" არ განხორციელებულა, ხოლო ძველ ჩამოსახლებულ რუს კოლონისტებს 1908-1912 წლებში გამოუყვეს 66017 დესეგინა საუკეთესო მიწა (8, 24-26).

წყაროთა და ლიგერატურის მიმოხილვით ცხადი ხდება, რომ რა საბაბითაც არ უნდა დაწყებულიყო ხალხის მღელვარება, საბოლოოდ ის მაინც ეროვნულ ხასიათს იღებდა. ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური პარტიების – ბოლშევიკების ერთა თვითგამორკვევისა და მენშევიკების ეროვნულ-კულტურული ავტონომიის პროგრამები ანტიეროვნული იყო და ხალხის სურვილებს არ შეესაბამებოდა. აჯანყებულების მოთხოვნა "საქართველოს სრული ავტონომია", ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარების გოლფასი იყო. რუსეთის იმპერიის მკაცრი შოვინისტური და კოლონიური პოლიტიკა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამძაფრებას იწვევდა. საქართველოში საუკუნეების განმავლობაში მრავლად მცხოვრები უცხოტომელები ეროვნულ მოძრაობაში არა თუ არ მონაწილეობდნენ, არამედ პირიქით, მათი მოქმედება ხშირად გარკვეულ ბარიერს უქმნიდა ქართველი ხალხის ეროვნულ ინტერესებს

ლიტერატურა - REFERENCES

1. ირაკლი ანთელავა, ვიქტორ გუბუა, საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1967
2. ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში
3. გ. ბოსტოლანაშვილი, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოს სოფელში და აგრარული ურთიერთობა 1895-1917 წლებში, თბ., 1990
4. გ. ბოსტოლანაშვილი, უცნობი ფურცლები ვაჟა ფშაველას ბიოგრაფიიდან, ქ. სამშობლო, № 1-2, თბ., 1999
5. ანზორ თორთლაძე, საქართველოს დემოკრატიული პორტრეტი, თბ., 1993
6. ვ. მაჭავარიანი, მარქსისტულ-ლენინური აგრარული პროგრამის გამომუშავების ისტორიიდან, თბ., 1960
7. ი. ი. უთრუთაშვილი, კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარება აღმოსავლეთ საქართველოს სოფელში 1864-1914 წლებში (ხელნაწერი)
8. საგადასახლებო საქმის მიმოხილვა კავკასიაში 1908-1912 წლებში, სპ., 1913
9. საქ. ცსსა, ფ.17, ან 1, ს. 9610
10. საქ. ცსსა, ფ.17, ან 1, ს. 5255
11. საქ. ცსსა, ფ.17, ან 1, ს. 5265
12. საქ. ცსსა, ფ.17, ან 1, ს. 6600
13. საქ. ცსსა, ფ.244, ან 5, ს. 330
14. საქ. ცსსა, ფ.17, ან 1, ს. 9614
15. საქ. ცსსა, ფ.215, ან 1, ს. 329
16. საქ. ცსსა, ფ.215, ან 1, ს. 52
17. საქ. ცსსა, ფ.215, ან 1, ს. 109
18. საქ. ცსსა, ფ.215, ან 1, ს. 329

L. Mirianashvili

**National Independence Movement in the Georgian Villages
during the period of the 1905-1907 revolution.**

Summary

The studies and observation of the relevant sources and literature clearly demonstrate that in spite of causes that ignited the people's embarrassment, finally the fact always accumulated the content with the national aspect. The program favored by the biggest and strongest political parties of the Bolsheviks and the Mensheviks vouched for the national independence _ (in the first case of the Bolsheviks), and for the national and cultural autonomy (in the second case of the Bolsheviks) _ were essentially anti-national and did not correspond to the interests of the Georgian nation. Thus, the demand of the rebels _ "Full Indolence to Georgia" was similar to the declaration of the independence of the country, and their other demands were equally impregnated with the spirit of the national identity.

The strict policy of chauvinism and colonialism carried out by the Russian Empire caused the tension in the movement for the national independence.

The representatives of the various numerous communities that belonged to other nations and had been living in Georgia for several centuries did not take part in the national movement; on the contrary _ their behavior often created obstacles for the national interests of the Georgian population.